

ხელშეკრულება

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შეთანხმება კონკურსის საფუძველზე სტუ-ს მეცნიერების განვითარების ხელშემწყობი კომისიის მიერ გამოყოფილი თანხის ოდენობასა და შესასრულებელი სამუშაოს შედეგებზე.

ხელშეკრულების მხარეები არიან:

ერთი მხრივ, სტუ-ს მეცნიერების განვითარების ხელშემწყობი კომისია, მისი თავმჯდომარის, პროფ. ზურაბ გასიტაშვილის სახით, მეორე მხრივ, სტუ-ს მიერ 2010 წელს ჩატარებული სამეცნიერო და გამოყენებითი პროექტების კონკურსში გამარჯვებული პროექტის ხელმძღვანელი

ხელმძღვანელობენ რა მეცნიერების განვითარების ხელშემწყობი კომისიის დებულებით, მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

კომისია ვალდებულია:

1. უმაღლესი საგანმანათლებლო კვლევითი პროგრამის სახსრებიდან, კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, წარუდგინოს დასამტკიცებლად უნივერსიტეტის რექტორს პროექტის ხარჯთაღრიცხვის შესაბამისი თანხა;
2. პროექტის ხელმძღვანელის მოთხოვნისთანავე გაუწიოს კონსალტინგური დახმარება საპროექტო პრობლემატიკის რეალიზების ფარგლებში;
3. პროექტის წარმატებით დასრულების შემდეგ, ხელი შეუწყოს მიღებული შედეგების ტირაჟირებას სტუ-ს საშუალებებით.

პროექტის ხელმძღვანელი ვალდებულია:

1. წარმოადგინოს (დანართის სახით, ხელშეკრულებაში შესატანად) პროექტის ფარგლებში მისაღები შედეგების ვალდებულებათა ნუსხა.
2. სრულად შეასრულოს დანართში მითითებულ ვალდებულებათა ნუსხა.
3. პროექტის დასრულებისთანავე წარმოადგინოს დასკვნითი სამეცნიერო ანგარიში.
4. შეასრულოს მეცნიერების განვითარების ხელშემწყობი კომისიის დებულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

ხელშეკრულების დამატებითი პირობები:

- მეცნიერების განვითარების ხელშემწყობი კომისია პერიოდულად ახორციელებს მონიტორინგს სამუშაოების მიმდინარეობაზე.

- პროექტის ხელმძღვანელმა ყოველკვარტალურად წარმოადგინოს ტექნიკური ანგარიში პროექტის მიმდინარეობის შესახებ, ხოლო საჭიროებისამებრ, კომისიის მოთხოვნის შესაბამისად – ნებისმიერი სხვა სახის დოკუმენტი.
- მეცნიერების განვითარების ხელშემწყობი კომისია იტოვებს უფლებას: თუ მონიტორინგის შედეგად გაკეთებული დასკვნის საფუძველზე სამუშაოს შესრულების მიმდინარეობა არ შეესაბამება დანართში წარმოდგენილ სამუშაოების გაწერილ კალენდარულ გეგმას, მიიღოს გადაწყვეტილება პროექტის დაფინანსების შეწყვეტის თაობაზე.
- ხელშეკრულება ითვალისწინებს მეცნიერების განვითარების ხელშემწყობი კომისიის დებულებით განსაზღვრული პროცედურების შესრულებას კომისიის მიერ პირველივე მოთხოვნისთანავე.

კომისიის სახელით:

პროექტის ხელმძღვანელი:

სტუ-ს რექტორის მოადგილე
 მეცნიერების დარგში,
 მეცნიერების განვითარების
 ხელშემწყობი კომისიის თავმჯდომარე,
 პროფ. ზ. გასიტაშვილი

დანართი 1.

პროექტის ფარგლებში მისაღები შედეგების კვარტალურ ვალდებულებათა ნუსხა

II კვარტალი -----

III კვარტალი -----

IV კვარტალი -----

პროექტის ხელმძღვანელი

(ხელმოწერა)